ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 12 ივლისი № 1521

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან «პროვინციის» ხელის მომწერთ ურიგდებათ დაროენოვის განცხადება

მღვდელი ლუკა მათეს ძე, ქრისტინე დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგეი, არკადი და ლუკა ბახტაძეები სთხოვენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა განსვენებულის

ილია ლუკას ძის ბახტაძისას (ილ. ხონელი)

დაესწრონ შაბათს, 14 ივლისს, 10 საათზე, ხონის წმ. გიორგის ტაძარში, წლის წირვასა და პანაშვიდს განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (3—რ—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა
დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვების. 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფელდორფი—შინაგანი და საბავშვო 1—2 საათამდე.

ზ. დ. მარკევიჩი—საღოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საჯინაშვილის, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ქუთაისში
ახალი სასტუმრო
ბულვარის გვერდით, ანდრონიკოვის სახლებში
„ბელვიუ"

დასავლეთით სასტუმრო დაჰყურებს ქალაქის ბაღს, სამხრეთით—სობოროს მიდამოს და მოსჩანს უხიმერიონის მთა, თავის ისტორიული ნანგრევებით. სასტუმრო მშვენივრათ არის მორთული. სამაგალითო სამზარეულო და ზრდილობიანი მოსამსახურეები.

დაიწყებს მოქმედებას პირველ ივლისიდან 1901 წ. (5—5)

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში. (80—10)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

მე-45 სევერსკის დრაგუნთა პოლკის კორნეტი კობიაშვილი დაინიშნა ამიერ კავკასიის ქუთაისის გუბერნიის საპოლიციო დარაჯთა ოფიცრად საკავალერიო არმიაში ჩარიცხვით.

სამოქალაქო უწყებას:

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან ავადმყოფობისა გამო, თხოვნის თანახმად, ამიერ კავკასიის წყლების დაწესებულებათა ინჟენერ-გიდრავლიკი კოლეჟსკი-ასესორი ზავრიშვილი.

ქუთაისის გუბერნიის სამართველოს მოხელე ბესარიონ შარაშიძე გადაყვანილ იქმნა ქუთაისის სახაზინო პალატაში.

ქუთაისის სახაზინო პალატის ბუჰლალტერის თანაშემწე ტიტულიარნი სოვეტნიკი თავ. ბესარიონ ჩიჩუა დაინიშნა ქუთაისის ხაზინის უნცროს ბუჰლალტრად.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

10 ივლისს.

იალტა. 9 ივლისს ბუხარის ემირი იყო გურზუფში, სადაც მას შესაფერისად შეხვდნენ.

ვარშავა. იწვის გერმან იუნგის ლუდის ქარხანა. ზარალი მეტად დიდია.

მოსკოვი. სადგურ ოკულოვკასთან, ნიკოლაევის რკინის გზაზე, პეტერბურგიდან წამოსულ ჩქარ მატარებელზე № 1 გასკდა ბანდაჟი და ერთი ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან. უამვაგონოდ მატარებელი გაგზავნეს ოკულოვკაში, სადაც იგი შეაკეთეს და მოსკოვისაკენ გაუშვეს. დაშავებული არიან უფროსი კონდუქტორი და ცამეტი მგზავრი.

სარატოვი. ბირჟის კომიტეტის გამოანგარიშებით, სარატოვში არის სულ 4,935,000 ფუთი პური: $3\frac{1}{2}$ მილიონი ხორბალი, მილიონზე მეტი პურის ფქვილი, 191,000 ფუთი ჭვავი და 28,000 ფ. შვრია.

ხარკოვი. საურთიერთო კრედიტის მეორე საზოგადოების წევრთა სხდომა გაგრძელდება რამდენიმე დღე. გადასწყვიტეს აირჩიონ კომისია საზოგადოების ანგარიშის და საზოგადოთ საქმის მდგომარეობის შესამოწმებლად. ზარალი საზოგადოებისა სარგებლიან ქაღალდებში გაცემულ სესხებიდან უდრის—780,000 მ. საჭიროა 12% დამატებითი შესატანისა. წევრების მოთხოვნით გარეშე პირების დაუსწრებლად გამოაცხადეს გვარები და ონკოლურ ანგარიშის ჯამი. კრება მეტად აღელვებული იყო და წევრთა შორის ხშირი იყო შეტაკება. ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, საზოგადოების გამგეობა და საბჭო აირჩევს სალიკვიდაციო კომისიას სუშცოვის თავმჯდომარეობით გაკოტრებულ სავაჭრო ბანკის გამო.

სტოკჰოლმი. დილით საშინელი აფეთქება მოხდა ამერიკელ გემზე, რომელიც ღამით მოვიდა გედვიგენში ნავთით. გემის ბანი აფეთქა; გემი იწვის; ცეცხლ მოკიდებული ნავთი დაიღვარა ირგვლივ. დაიღუპა დამლენის 4 მოხელე და 6 მატროსი.

კონსტანტინეპოლი. გუშინ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილისძე დაესწრო წარმოდგენას ილდიზ-კიოსკში და დღეს დაათვალიერა ქალაქი. ნაშუადღევს შემდეგ დიდი მთავარი ზინოვიევის თანხლებით გამოსათხოვრად იყო სულთანთან. საღამოს „როსტისლავ"-ზე სადილი იყო გამართული სულთანის დელეგატების, ზინოვიევისა და რუსეთის საელჩოს წევრების პატივსაცემ-

ფელეტონი

ცხოვრება და ხელოვნება

ედ. როსტანი და ახალი დრამა საფრანგეთში

I

ედ. როსტანი, ახალგაზდა დრამატურგი, არჩეულ იქმნა აკადემიკოსად. 33 წლის მწერალმა მოიპოვა „უკვდავება" და თანაც დიდი სახელი მთელს ევროპაში. მისი დრამები საფრანგეთის თეატრებში ისეთს აღტაცებას იწვევდნენ, რომ დამსწრეთ ძველ დროს—ჰუგოს დრამების წარმოდგენის დროს—აგონებდნენ. საკმარისია, მგონია, ყოველი ფრანგი მწერლისათვის, თუ მისი სახელი ჰუგოს სახელთან ერთად იხსენიება. მაგრამ ეს როდი აკმარა ბედმა ედ. როსტანს და აი დღეს იგი „უკვდავთა"-თანა შერიცხულია.

ცნობილი კრიტიკოსი „Revue des deux Mondes"-ისა რენე დუმიკი საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც პროფესორის პეტი-დე-ჟიულევილის რედაქციით გამოვიდა, შემდეგ დიდად საშურველ ატესტატს უძღვნის ახალგაზდა მწერალს: „სირანო დე ბერჟერაკმა" (როსტანის დრამა) მოიხვეჭა უეცრად ისეთი სახელი, რომ ვიქტორ ჰუგოს დრამების შემდეგ, ასეთი აღტაცება ჩვენს თეატრებში არცერთ პიესას არ გამოუწვევია. მადლობითა და [illegible] აღსავსე საზოგადოება ტაშის ცემით ეგებებოდა ახალგაზდა ნიჭს, რომელიც შემკული არის საუკეთესო ჩვენის საეროვნო თვისებებით. ძლივს ვეღირსეთ მართლაც ახალგაზდა, სიცოცხლით აღსავსე მწერალს, ნამდვილ პოეტს. საზოგადოებამ სამართლიანად იდღესასწაულა აღმოჩენა ამგვარის მწერლისა, რომელმაც მოგვხიბლა თავისის ენტუზიაზმით, მეტად ნაზი გრძნობიერებითა და სამხრეთელის მახვილ-გონიერებით. ჩვენ მადლობელი ვართ და ვუყავით ედ. როსტანისა იმიტომ, რომ დრამატიულ პოეზიას თავისი წყარო მოუპოვა, და ისეთი ნაწარმოები მოგვცა, რომელსაც ნათლად ამჩნევია ბეჭედი ჩვენის ლათინურის კულტურის სამის საუკუნისა".

ედ. როსტანის დრამები „ახალის" რისამე გამომსახველია. ჰუგოს რომანტიულის და დიუმა, შვილის რეალურის დრამების შემდეგ საფრანგეთში დრამატიულ ხელოვნებას როგორღაც ძილის ფერი დაედო. ამ რამდენიმე წლის წინად აალაპარაკა საფრანგეთის და ევროპის საზოგადოება პოლ ერვიეს დრამებმა, მაგრამ ეს დრამები ნამდვილი ტიპიური წარმომადგენელი იყო დიუმა, შვილის დრამების გვარისა, ეს დრამები ეგრედ წოდებული დრამა a thèse-ის გვარის იყო და შინაარსითაც კი დიდი მსგავსება ჰქონდა დიუმას დრამებთან. საუკეთესო მის დრამებში „ბრჭყალებში" და „უფლება მამაკაცის" ქალის უფლების დამცველი იყო და მამაკაცისაგან დედაკაცის ოჯახში შევიწროებას და დევნას ასურათებდა—ეს საგანი ნამდვილი დიუმას დრამების საგანი იყო. ახალი არა იყო რა, მხოლოდ ჩვეულებრივის ფრანგ მწერლისათვის ცოცხალის და კარგის ენით იყო დაწერილი და საკმაოდ ნიჭიერად და ხელოვნურად იყო დრამატიული მომენტი დასურათებული.

ამ უფერულს დროში როსტანი გამოვიდა ახალის დრამით, დრამა ლექსით დაწერილი იყო და მაშ გარეგანის მხრითაც კი სულ ახალი რამ, ისეთი რამ, რაც რომანტიულ დრამების შემდეგ არ უნახავს საფრანგეთის მწერლობას. გარდა ამისა, ჩვენის მკითხველისათვის და საზოგადოდ ყოველი უცხოელისათვის მიუხვდომელია ის სიმშვენიერე და სიმდიდრე პოეტურის ენისა, რომელიც შეადგენს დიდს ლიტერატურულს ღირსებას როსტანის დრამებისას. ჩვენ უნდა შევეხოთ მხოლოდ აქ მის შინაარსს, მის მიმართულებას, იმ შინაგან საშუალებას, რომელსაც მწერალი ხმარობს თავისის აზრისა და გრძნობის გამოსახატავად.

დღევანდელი მწერლობა საფრანგეთისა ორის დიდის ლიტერატურულის მიმართულების გავლენის ქვეშეა. ერთის მხრით ახლო ნათესავის ნატურალიზმისა და მეორე—ცოტა შორეულის წინაპარის რომანტიზმისა. ნატურალიზმი, ცოტა არ იყოს, მოძველდა, მობერდა, როგორც ყოველივე ამ ცოდვილს დედა-მიწაზედ და რეაქცია გამოიწვია ლიტერატურაში. თუ რომანტიზმი ინდივიდუალიზმის ლიტერატურა იყო, განსხვავებულ და განსაკუთრებულ ცხოვრების მოვლენათა და სულის მოძრაობის გამომსახველი, ნატურალიზმი კაცობრიობის უმრავლესობის, ყოველ-დღიურის სინამდვილის, ჩვეულებრიობისა და საშუალო კაცის აზრისა და გრძნობების აღნუსხვასა სცდილობდა და ჰლამობდა. საქმემ კი სულ სხვა მიმართულება მიიღო. ნატურალიზმი კაცის „პირუტყვობის" დამსურათებელ ლიტერატურად გარდაიქცა. მან დაჰგმო და სასაცილოდ აიღო ყოველივე მისწრაფება იდეალური და უმაღლესი და თვით უწმინდესი გრძნობები—პირუტყვულ ქვენა მოტივებად დაახურდავა. თუ რომანტიზმი კაცის „მხეცობას" არ უარს ჰყოფდა, მისი ღვთაებრიობაც სწამდა. რომანტიზმი კაცის „ადამიანობისა" და „პირუტყვობის" სამაგალითო და საუცხოვო ნიმუშებს გვიჩვენებდა. ნატურალიზმმა კი თეორიულად „საშუალო კაცი, ჩვეულებრივის ყოველ-დღიურის მოვლენის" შესწავლა გაიხადა საგნად, პრაქტიკულად კი ადამიანის «მხეცობასა და პირუტყვობის» ჩხრეკაძიებას შეუდგა და მეტადაც გადააჭარბა. ეხლანდელ ლიტერატურას არ შეეძლო არ ესარგებლებია ნატურალიზმის შრომის ნაყოფით, მაგრამ რომანტიზმიც არ აღიარა ზიზღის ღირსად. წინააღმდეგ, დღევანდელს ლიტერატურაში თქვენ შეხვდებით ბევრ მაგალითს იმისას, რომ რომანტიზმსაც დიდი გავლენა აქვს ეხლანდელს ლიტერატურაზედ. ეხლანდელი ლიტერატურა სავსეა რომან-

ლად. დიდის მთავრის აქ ყოფნის გამო სულთანმა და რუსეთის იმპერატორმა ერთმანერთს დეპეშები გაუგზავნეს. სულთანი გაუგზავნის დიდ მთავრინა ქსენია ალექსანდროვნას საჩუქრად წმინდა ჯიშის ულაყს.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთისა და სერბიის სავაჭრო ხელ-შეკრულობას ხელი მოაწერეს გუშინ.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩი პეკინიდან დეპეშით იტყობინება, რომ საზღაურის გადახდის გეგმა ეხლა საბოლოოდ არის მიღებული. ობლიგაციების გასტუმრება დაიწყება 1902 წელს; ვალი სულ უნდა გაისტუმროს ჩინეთმა 1940 წელს; ჰფიქრობენ, რომ ჩინეთი გადასდებს ამისათვის ყოველ წელს 23 მილიონს; ეს ფული საკმარისი იქნება თაინისა და სარგებლის გადასახდელად იმ დროისათვის.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ყურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ აფრიკა. «პარი ნუველ»-ს ამბავი მოჰსვლია 6 ივლისს, რომ ბურები უფრო და უფრო მხნედ იქცევიან, მეტადრე პრეტორიის ახლო, სადაც დელარეი და ბეიერი მოქმედებენ. ერთ ბრძოლის დროს დელარეიმ ინგლისელების რაზმს, ასე 1000 კაცს, წრე შემოავლო. დელარეიმ კაცი გაუგზავნა—დამნებდითო. კაცი აღარ დაბრუნდა. მეორე დღეს დელარეიმ სხვა კაცი გაუგზავნა, მაგრამ არც ის დაბრუნდა. მესამე დღეს დელარეიმ იერიში მიიტანა ინგლისელებზე და დიდი ზარალიც მისცა; ვინც ცოცხალი გადარჩა, ტყვედ წაიყვანა; თითონ რაზმის უფროსიც ხელში ჩაიგდო და პასუხი მოსთხოვა, ჩემგან გამოგზავნილ ორ კაცს რა უყავით.

— თოფით დავახვრეტინე, რადგანაც აჯანყებულებთან ლაპარაკი არა მსურდაო.

გულ-კეთილმა დელარეიმ ამის თაობაზე ლორდ კიტჩენერს საჩივარი გაუგზავნა. ინგლისელების ჯარის მთავარ-სარდალს უღმერთო რაზმის უფროსი სამხედრო სამართალში მიუცია.

✿ «ფიგარო» დიდს წერილს უძღვნის მწერალ ქალის ოლივია შრაინერის ლიტერატურულ და პირად დახასიათებას.

«ოლივია შრაინერი კაპის ახალშენიდანაა, ტომით ჰოლანდიელია. კაპის პირველ მინისტრად ნამყოფის ცოლია. შრაინერს ბევრი ბელეტრისტული ნაწერები აქვს სამხრეთ-აფრიკის ცხოვრებიდან. შრაინერისაგან სამხრეთ-აფრიკის დახატული სურათები გასაკვირველად გამართლდნენ ეხლა. «ერთი ფერმის ისტორია», «ჯარის-კაცი პეტრე ხალკეტი»—ეს ისეთი ნაწერებია, სადაც ყოველ ფურცელზე დიდძალი ბრძნული დარიგებაა დაწერილი ინგლისელი პოლიტიკოსებისათვის. როგორც ვსთქვით, შრაინერის ყველა წინასწარმეტყველება სიტყვის სისწორით ასრულდა. მოგვყავს, მაგალითად, ნიჭიერი მწერალი ქალის შემდეგი სიტყვები: «ყოველი ტყვია, ინგლისელი ჯარისკაცისაგან აფრიკანდერის გულში ნასროლი, ახალ მებრძოლს ჰბადებს, რომელიც ამის დანახვაზე ერთს წუთს შეიგნებს და დარწმუნდება, რომ ისიც აფრიკანდერია. თქვენ (ინგლისელები) კი არა გვხოცავთ, პირიქით, გვადვიძებთ. ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცის, რომ ჰოლანდიელები უყვარს. მაგრამ ამას მაშინვე მიჰხვდებიან, რამ წამს თქვენგან ნასროლი ტყვია რამდენსამე აფრიკანდერს მოჰკლავს». ოლივია შრაინერისაც იმ გვირგვინს ეღირსა, რომელიც ინგლისელებს არასოდეს არა ჰსურთ თავიანთ მტრებისათვის: დაატუსაღეს და სამხედრო ბანაკში დაამწყვდიეს».

✿ «დეილი ნიუს»-ში კიდევ იბეჭდება წერილები სამხრეთ-აფრიკის სამხედრო ბანაკებზე. წერილების ავტორები ამტკიცებენ, რომ ბანაკში მყოფი ხალხი მეტად შეწუხებულია, საჭმელი არც ვარგა და არც საკმაოა, დიდძალი ხალხი სწყდება, თვით მდიდარი ოჯახის ქალებიც-კი თითქმის უტანსაცმელოდ მიჰყავთ ბანაკში და მოხელეები არა ცდილობენ, რომ ტანისამოსი მისცენო და სხვ.

✿ კრადოკიდან (კაპის ახალშენი) იუწყებიან, რომ ინგლისის მოხელეებმა გუშინ ხალხი დიდ მეიდანზე შეჰკრიბეს და შეატყობინეს, რომ ხვალ აქ ერთი მეამბოხე სიკვდილით იქმნება დასჯილიო. აქვე მოხელეებმა განაჩენი წაუკითხეს ხსენებულს მეამბოხეს.

ინგლისის მთავრობა ჰფიქრობს, რომ ეს სასტიკი სასჯელი შეაშინებს კაპელ ბურებს და აჯანყების ხალისს დაუკარგავსო, მაგრამ, ვინ იცის, იქნება ეს იმედიც ისე გაუცრუვდეთ, როგორც ბევრი სხვა გაუცრუვდათ.

✿ «დეილი მაილ»-ი სწერს: «ამტკიცებენ, რომ თუ ლორდ კიტჩენერი არ მოიშლის და კაპელ მეამბოხეებს ამას იქითაც ჩამოახრჩობსო, მაშინ გენერალი ლუი ბოტაც თავის მხრივ ბრძანებას გასცემს, რომ ყოველი ინგლისელი ტყვე თოფით დახვრიტონ ბურებმაო».

✿ «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან: «სარწმუნო პირები ირწმუნებიან, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილიდან ყველა ჯარები წაიყვანოს და დურბან-ბლუმფონტენის გზაზე დააყენოს. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ სამხრეთ-აფრიკიდან 80,000 ჯარის კაცი უნდა დაითხოვონ, რადგანაც სამსახურის ვადა გაუთავდათო. ამათ მაგიერ გასაგზავნი ჯარი კი ინგლისის მთავრობას აღარა ჰყავს».

საფრანგეთი. ამას წინად დეპეშებმა გვაუწყეს, რომ ერთმა ქალმა რევოლვერი ესროლა საზოგადო სამუშაოთა მინისტრს ბოდენსაო; ეხლა ამ ამბის თაობაზე შემდეგს იწერებიან გაზეთები.

ის ქალი, რომელმაც ბოდენს ესროლა, ტომით ფრანგია და არა რუსი, როგორც წინად იუწყებოდნენ გაზეთები. მისი სახელი და გვარი —ევლალია ფობრეგეთია. ოთხი წლის წინად ინჟენერი პოლონელი ოლშევსკი შეირთო. 1894 წლამდე ოლშევსკი არქიტექტორის ხელობით ცხოვრობდა. შემდეგ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ხუთის წლის წინად, «ტან»-ის სიტყვით, სავონაში, იტალიაში, დაატუსაღეს ჯაშუშობისათვის და ერთი თვით ციხეში ჩასვეს. ამის შემდეგ, როგორც ეტყობა, ოლშევსკიმ იფიქრა, რომ საფრანგეთის მთავრობისაგან შემწეობა მეკუთვნისო და სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრებს მოსვენებას აღარ აძლევდა და ნიადაგ დახმარებასა სთხოვდა. წინდაწინ ეს თხოვნები სჭრიდა, მერე-კი მინისტრებს მოჰბეზრდათ და ფულის ძლევა მოუსპეს. თითონ ოლშევსკი, როგორც სჩანს, შეურიგდა თავის ბედს, მაგრამ მისი მეუღლე კი მაინც ხელს არ იღებდა, ნიადაგ გარეშე საქმეთა სამინისტროში მიდიოდა და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სამინისტროს ჩემი ქმრის ვალი ჰმართებსო. რამდენჯერმე ძალით გააგდეს სამინისტროდან და, დასასრულ, რამდენისამე თვის წინად, ბრძანება იყო გაცემული, რომ ოლშევსკის ცოლი სულაც აღარ მიეღოთ. როგორც თითონ ოლშევსკის ცოლი ამბობს, რამდენისამე თვის წინად დატუსაღებული ყოფილა, რადგანაც დელკასსეს დაჰმუქრებოდა, მაგრამ შემდეგ ეს საქმე მოუსპო მთავრობას. მაშინ, ცხადია, ოლშევსკის ცოლს სხვანაირი ხერხი მოუგონია, რომ დელკასსეს ყურადღება მიექცია. მაგრამ ბეცობის მიზეზით შეშლოდა და დელკასსეს მაგივრად მინისტრი ბოდენისათვის, ესროლა. ოლშევსკი მეტად არეულად ლაპარაკობს. ერთის მხრივ აცხადებს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის მოკვლის განზრახვა არა მქონიაო, მეორეს მხრით,—რომ მთელი ერთი კვირა რევოლვერის სროლას ვსწავლობდიო. ამისმა ქმარმა, რომელიც ამ ჟამად ნანტერში სცხოვრობს, გამოაცხადა, რომ არაფერი არ ვიცოდი, თუ ჩემ ცოლს მაგისთანა განზრახვა ჰქონდაო; როცა პარიზში წავიდა, ჩემმა ცოლმა პატარა ვაჟიშვილი წაიყვანა თანა და სთქვა, რომ სავაჭროთ მივდივარო.

ავსტრ-უნგრეთი. მალე ჩეხიის სეიმის დეპუტატების არჩევანი უნდა მოხდეს. სტარო-ჩეხების და მლადო-ჩეხების მეთაურები თათბირებსა ჰმართვენ იმ აზრით, რომ ეკონომიურ და პოლიტიკურ საგნებზე შეთანხმდნენ.

შეერთებული შტატები. «ფოლადის სინდიკატის» (საზოგადოების) მუშების გაფიცვა წარსულ ორშაბათს დაიწყო. მუშაობა აჰკვეთეს პენსილვანიაში, მარილანდში, ოჰაიოში და ინდიანაში. გაფიცულთა რიცხვს სხვა და სხვა ნაირად ანგარიშობენ: ხსენებული მუშების თავმჯდომარე ირწმუნება, რომ 75,000 კაცმა აიღო მუშაობაზე ხელით, სინდიკატის მონაწილენი კი ამბობენ, მხოლოდ 20,000 კაცია გაფიცულიო. მაგრამ ეს უკანასკნელი ციფრი სწორე არ უნდა იყოს, რადგანაც გაფიცვაში მონაწილეობას ისეთი მუშებიც იღებენ, რომლებიც კავშირს არ ეკუთვნიან. გაფიცვა სრულის წესიერებით მიმდინარეობს. გაფიცულ მუშებს 250,000 დოლლარი თანხა აქვთ. ამას გარდა, კავშირმა წინდაწინვე რამდენიმე ათასი გაფიცული მუშისათვის სხვაგან სამუშაო იშოვა. 3 ივლისს ნიუ-იორკში «ფოლადის სინდიკატის» გამგე კომიტეტი შეიკრიბა. კომიტეტს იმის თაობაზე ჰქონდა მსჯელობა, თუ როგორ მოვექცეთ მუშებსაო. მუშები შემდეგსა თხოულობენ: სინდიკატმა თავის ფაბრიკებში მხოლოდ ის მუშები მიიღოს, რომლებიც კავშირს ეკუთვნიანო. მორგანი და სინდიკატის სხვა მეთაურები იმ აზრისანი არიან, რომ, თუ მუშების თხოვნა შევასრულეთ, მაშინ მთელი საქმე იმათ ხელში იქნებაო. სინდიკატის წევრებს იმ მუშების იმედი აქვთ, რომლებიც კავშირს არ ეკუთვნიან, და თუ საქმე გაჭირდა, შეიძლება ევროპიდანაც გამოვიწეროთო. გაფიცულ მუშებს იმედი აქვთ, სინდიკატი შეშინდება, რომ გაფიცვა საყოველთაო არ გახდეს და ჩვენ თხოვნას შეასრულებსო. მრეწველებისა და პოლიტიკოსების წრეები დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს ამ გაფიცვას და მოუთმენლად ელიან, აბა, ყოვლად ძლიერ სინდი-

---

ტიულის და ნატურალისტურის ელემენტით; ამის სამაგალითოდ ედ. როსტანის დრამებიც დაისახება.

ჩვენ მივაქციოთ ყურადღება სამ დრამას ახალგაზდა მწერლისას, რომელთაც ევროპაში სახელი აქვთ მოხვეჭილი და რომელთაც საზოგადო აღტაცება გამოიწვიეს ყველა თეატრებში. ეს სამი დრამაა: «შორეული დედოფალი» «La Princesse Lointaine) «სირანო დე ბერჟერაკი» და «არწივის მართვე» (l'Aiglon).

სამივე დრამა სიუჟეტითაც კი წააგავს რომანტიულ დრამებს. პირველია საშუალო საუკუნის რაინდულის დროის ამბავი, მეორე XVII საუკუნის საფრანგეთის ისტორიიდან არის ამოღებული და მესამე კი სულ ახალის დროის, თითქმის ნაპოლეონის დროის ამბავია.

„შორეულ დედოფლის“ სილამაზის ამბავით არის აღტაცებული ერთი რაინდი-ტრუბადური პრინცი ჟოფრუა რიუდილი. იგი გემით გაემგზავრება სილამაზით განთქმულის დედოფლის სანახავად. თან ახლავს მეგობარი, ისიც რაინდი ბერტრან დ' ალამენონი, და ამალა. ბევრის ტანჯვისა და წვალების შემდეგ ძლივს მიაღწევენ სანეტარო ადგილს. მაგრამ საბრალო „ტარიელი“ უიმისოდაც დაავადმყოფებული იყო და ზღვაზედ ხანგრძლივმა მოგზაურობამ, ზღვის ღელვამ, შიმშილმა და წყურვილმა მთლად მოუახლოვა სიკვდილი. ერთად ერთი მისი გამამხნევებელი არის სურვილი ლამაზის დედოფლის ნახვისა. ეს სურვილი აცოცხლებდა მას მთელს მოგზაურობის დროს. „მომაკვდავი სცოცხლობდა ამ რწმენის შემწეობით“ და ამ სურვილით ისე იყო აღტაცებული, ისეთის ენტუზიაზმით ეკიდებოდა თავისის აზრის განხორციელებას, რომ შიმშილით და დაქანცულობით წელში გაწყვეტილ ამალასაც კი ამხნევებდა და იტაცებდა. როცა დედოფლის სამკვიდრო ნაპირს მიადგა გემი, ჟოფრუამ თავისი მეგობარი გაგზავნა დედოფალთან და სთხოვა შეეტყობინებინა იმის ამბავი, მისი სულის კვეთება და დაეთანხმებინა როგორმე და მის სანახავად მიეყვანა. თვით საუცხოვო დედოფალსაც გაეგონა რაინდ-ტრუბადურის აღტაცება და მისი ლექსები მისის სილამაზის შესახებ შეთხზულნი, ხოლო, როცა მშვენიერმა დედოფალმა ლამაზი და მხნე ბერტრანი დაინახა თავისის „ტარიელის“ „ავთანდილის“ „ფატმანობა“ გამოიჩინა და ხელი მაგრად ჩასჭიდა ყმაწვილ კაცს: „როგორ, იქ წავიდე იმასთან, სიცოცხლე გამოლეულთან და სასიკვდილოდ განმზადებულთან, მის მაგიერად, რომ სიცოცხლით აღსავსე და მშვენიერი ყმაწვილი კაცი ჩავიკრა გულში?“ და თანაც იტაცებს ქალური სურვილი გაუღვიძოს ბერტრანს ისეთი ძლიერი გრძნობა, რომ მეგობრობაც კი დაავიწყებინოს. ამასაც მიაღწევს ცბიერი ქალი, მაგრამ დამონებული და დაძლეული ბერტრანი სასოწარკვეთილებას ეძლევა მას შემდეგ, რაც მეგობარს უღალატა და რომ ვერ დამალავს და ხმა მაღლად ქვითინსა და შენანიებას დაიწყებს, შორეული დედოფალიც თითქო სიზმრიდან გამოერკვევა და გარდასწყვეტს გემზე წასვლას ჟოფრუას სანახავად. ჟოფრუა მის ხელში დალევს სულს, ბედნიერი და კმაყოფილი, რომ ეღირსა თავისის სატრფოს ნახვას. მშვენიერი დედოფალიც გადასწყვეტს განშორდეს ამ წუთისოფელს და განდგეს და თავისის მიჯნურის სახელის ხსოვნას ემსახუროს.

«სირანო დე-ბერჟერაკი“ სახელია იმ დროში საკმაოდ ცნობილის მწერლისა. თანამედროვე იყო მოლიერისა და ითვლებოდა ერთობ გონება მახვილ კაცად. სირანო დე-ბერჟერაკს, სახით მახინჯს, უცნაურის დიდის ცხვირის პატრონს, უყვარს ლამაზი და კეკლუცი აქტრისა როქსანა, მაგრამ, რასაკვირველია, ამ სიყვარულს ვერ აცხადებს დაცინებისა და უარისყოფის შიშით. როქსანა კი აღტაცებული თაყვანის მცემელია ლამაზისა და ულვაშ კოკობა, მაგრამ უფერულისა და უმნიშვნელო ოფიცერის ქრისტიანისა. ქრისტიანი და სირანო როქსანას გამო დამეგობრდებიან. ქრისტიანი გულწრფელად შეატყობინებს სირანოს, რომ სრულიადაც არ შეუძლია თავისის გრძნობების ლამაზად გამოხატვა და როქსანას კი მეტის მეტად უყვარს გრძნობების სხვა და სხვა ფერად-ფერადად შეზავებულის სიტყვებით გამოხატვა. სირანო დიდის აღტაცებით ეხვეწება ქრისტიანს, რომ ისარგებლოს მისი დახმარებით, დაუწერს ხოლმე ბარათებს და თუ შემთხვევა ნებას მისცემს, კიდევაც ელაპარაკება როქსანას მის მაგიერად. გინდაო, ეუბნება სირანო ქრისტიანს, რომ მე შენი ნაკლი შევავსო და შენ ჩემიო, შენ მოთვე შენი ფიზიკური სიმშვენიერე, მე კი ჩემს მჭევრმეტყველობას და მე ვიქნები შენი სული, შენ კი ჩემი მშვენება, ხოლო ერთად კი რომანის გმირს შევქმნითო. მთელი დრამა იმაში მდგომარეობს, რომ როქსანას უყვარს გონება და სული სირანოსი და იმით არის აღტაცებული, ხოლო უყვარს და ეალერსება ხორცს, გარეგნობას ქრისტიანისას და ისე კვდება საბრალო სირანო, რომ მხოლოდ უკანასკნელ ამბორს ეღირსება თავისის სატრფოსაგან.

„არწივის მართვე“—არწივი ნაპოლეონია, «არწივის მართვე»—მისი შვილი. ავსტრიის იმპერატორის ქალის შვილი, პრინცი რომისა და დიდებულის მამის სიკვდილის შემდეგ რეიხშტადტის ჰერცოგად წოდებული, საწყალი ყმაწვილი კაცი თითქმის დატუსაღებულია. ევროპამ დაავალა ავსტრიას და მის ძლევა-მოსილ მინისტრს მეტერნიხს „არწივის მართვეს“ რკინის გალიაში დამწყვდევა, ჰერცოგი, გატაცებული დიდებული იმპერატორის სახელით, მის მემკვიდრეობასა სცდილობს. მის სურვილებს აქეზებენ ნაპოლეონის თაყვანისმცემელი პარტიები, მაგრამ რკინის მინისტრი მეტერნიხი თავისის ბრჭყალებიდან არ უშვებს მართვეს. ყოველივე ღონეს სდებს მისის სულის ჩასაკლავად და კიდევაც მიაღწევს სურვილს. ავადმყოფობა, სულის მღელვარება, დამარცხება ოცნებისა უდროოდ სიცოცხლეს მოუსპობს ახალგაზდა „მართვეს“ საშიშარის „არწივისას“.

კოტე აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

კატსა და მუშების კავშირს შუა ატეხილი ბრძოლა რითი გათავდება. აი რას იწერება ამის თაობაზე «მანჩესტერ გვარდიან»-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი:

«ამ გაფიცვის მიზეზი და საგანი ყველასათვის ცხადია. როცა სინდიკატმა თავის ნაწარმოებს ფასები მოუმატა, მუშებმაც ესევე მოითხოვეს. ყველას ესმის, რომ მუშები მეტისმეტს თხოულობენ, მაგრამ გაფიცული მუშები ასეთს პასუხს იძლევიან: «ჩვენ ხომ არ აგვიტეხნია ეს დავა, თითონ სინდიკატმა დაიწყოო». მუშების მეთაურები გაფაცეცებით ადევნებენ თვალს, თუ რა ხდება ბირჟაზედ, რადგანაც, იმათი აზრით, სინდიკატის სუსტი ადგილი სწორედ იქაა. მუშებმა იციან, რომ ქვეყნის შორის მადნების მუშების შარშანდელმა გაფიცვამ შიშის ზარი დასცა ნიუ-იორკის ბირჟას და ამის წყალობით გაიმარჯვეს. ამიტომ იმედი აქვთ, რომ დიდი საფინანსო დაწესებულებანი საქმეში გაერევიან და ახლაც გაგვამარჯვებინებენო. მუშების ასეთი შეუპოვარი და თავზე ხელადებული ბრძოლა ნამდვილად ამართლებს ყველა იმ წინასწარმეტყველებას, რომელიც საქმეში ჩახედულმა კაცებმა წარმოსთქვეს, როცა «ფოლადის სინდიკატი» არსდებოდა. ეს კაცები მაშინვე ამბობდნენ, რომ სინდიკატის დაწესება მუშებს დიდ იმედებს გაუღვიძებს და ამიტომ მუშები ისეთ რამეს მოსთხოვენ სინდიკატს, რაც სხვა კაპიტალისტებისათვის არასოდეს არ მოუთხოვნიათო. ასეც მოხდა სწორედ. ცხადია, რომ მუშებმა გადასწყვიტეს—სინდიკატის მონოპოლიას თავიანთი მონოპოლია დაუპირდაპირონ. როგორც უნდა გათავდეს, ყოველ შემთხვევაში ამ გაფიცვამ ხელად გააცრუა ზოგიერთი ამერიკელი კაპიტალისტის მომხიბლავი ოცნება: ესენი ჰფიქრობდნენ, რომ ვეება სინდიკატები უკეთესი იარაღი იქნება მუშების მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველადაო».

ახალი ამბავი

✦ ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს გარდაწყვეტილება ბათუმის საბჭოს 25 ივნისის სხდომის შესახებ ჩვენ უკვე დეპეშით გვაცნობეს გუშინ. ეხლა იმავე საქმის შესახებ ბათუმიდან გვწერენ: „აქ მოვიდა ცნობა, რომ ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს შემდეგი განაჩენი დაუდგენია ბათუმის საბჭოში მომხდარ ინციდენტის შესახებ: გამგეობის წევრი გრ. ვოლსკი და ყველა ხმოსნებიც, რომელნიც საბჭოს დარბაზში დარჩნენ მას შემდეგ, რაც ბ. ივანოვმა სხდომა შესწყვიტა და რომელთაც მიიღეს მონაწილეობა კენჭის ყრაში, ყველანი მიცემულ იქმნან სასამართლოს წინაშე პასუხის გებაში; საბჭოს მდივანს კი გამოეცხადოს საყვედური დისციპლინარულ წესით; ხოლო არჩევანი ქალაქის თავის მოადგილისა ხელ-ახლად იქმნას მომხდარი და ამასთანავე ქალაქის თავის მოვალეობანი ასრულებულ იქმნას გამგეობის წევრის გრ. ვოლსკისაგან, თანახმად 94 მუხ. საქალაქო დებულებისა“.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა გაუგზავნა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ბ-ნ **ერმოლოვს** შემდეგი მოსაწვევი ბარათი კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე დასასწრებლად: კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება თვის ნახევარ საუკუნის მოღვაწეობას ამთავრებს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამართვით. თუ სამეურნეო საზოგადოების მოქმედებას ჰქონდა რაიმე კეთილი ზედ გავლენა მეურნეობის განვითარებაზე, ყოვლად უწინარეს ეს უნდა მიეწეროს სამინისტროს განათლებულს დახმარებას და აგრეთვე თანაგრძნობას მისდამი რწმუნებულ დაწესებულებათა, რომელთა მართვა მოინდო თქვენს აღმატებულებას უმაღლესის მთავრობისაგან. საზოგადოებამ ისარგებლა გამოფენის გამართვის შემთხვევით და მომინდო მე გამოვაცხადოთ უღრმესი მადლობა მის მოღვაწეობისადმი ყურადღების მიპყრობისათვის და ამასთანავე გთხოვთ კეთილ ინებოთ და მობრძანდეთ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება მომავალ აგვისტოს 20 რიცხვიდან. საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ასეთივე მოწვევის ბარათებს გაუგზავნა მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგს, ფინანსთა მინისტრს და მის ამხანაგს, და მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულად ნამყოფს ბ-ნ ტიხეევს და სხვა უმაღლეს პირთ.

✦ გუშინ მოხდა სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს **ქალაქის პავილიონის** მოწყობა მომავალ გამოფენაზე. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა სთხოვოს ქალაქის თავს, რომ სამუშაოს დასაჩქარებლად მიეცეს კომისიას 2000 მან. იმ ფულიდან, რომელიც ქალაქის საბჭომ გადასდვა ამ საქმისათვის, მაგრამ რომლის მიღება არ შეიძლება ჯერ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების გამო.

✦ ქუთაისიდან გვწერენ, რომ გუშინწინ ჩამოსულა ამიერ კავკასიაში წარმომადგენელი ბერლინის კაპიტალისტების ამხანაგობისა, რომელსაც განზრახვა აქვს მოაწყოს შორაპნის **მარგანეცის მრეწველთა სინდიკატი**. ამ დღეებში მოელიან კიდევ ორ წარმომადგენელს იმავე ამხანაგობისას და მაშინ დაიწყება მოლაპარაკება სინდიკატის დაარსების შესახებ.

✦ ტფილისში დაარსდა და მოქმედებას იწყებს ახალი ამხანაგობა, რომელსაც საგნად აქვს **საეკკლესიო ნივთებისა და საგნების ვაჭრობის** საქმის მოწყობა. ამხანაგობის თანხას შეადგენს 25 ათასი მან., დაყოფილი 250 პაიზე., შემდეგში კი თანხა გადიდებულ იქნება 50 ათას მანეთამდე.

✦ დღეს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს გამოფენაზედ ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მოწყობა.

✦ პარასკევს, 6 მკათათვეს, **დაიკარგა 9 წლის ქალი ნინა**, დეპოში მომუშავე იოსებ სასანაშვილის ქალიშვილი ქალის მამა ავადმყოფობისა გამო რკინის-გზის საავადმყოფოში წევს, დედა ნინასი, როგორც სხვა დროს, პარასკევსაც ქმრის სანახავად წავიდა; ბავშვი შინ დატოვა; უკან დაბრუნებისას ნინა აღარ დახვდა სახლში. ბევრი ეძება, მაგრამ შვილი მაინც ვერსად ნახა. დაღონებული, გაეშურა პოლიციის მეათე ნაწილში გამოსაცხადებლად. აი, ექვსი დღე სრულდება ნინას დაკარგვის დღიდან და ის კი მაინც ვერ უპოვნიათ. დედ-მამის მწუხარებას საზღვარი არ აქვს.

✦ ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია იმ არა ნორმალურ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს **მექარხნე იარალოვსა** და ქარხანაში მომუშავე შეგირდებ შორის.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა გამოუგზავნა სახელმძღვანელოდ მოწერილობა იმის შესახებ, რომ ყველა დაწესებულებათ, რომელთაც ჰსურთ **სამეურნეო თუ სამრეწველო გამოფენის გამართვა**, წინდაწინვე უნდა აცნობონ ხოლმე სამინისტროს თვისი განზრახვა; ცირკულიარში მოყვანილია ცნობა, რომ სამინისტრო ყოველთვის მზად იყო და არის ყველა ასეთ გამოფენებს შეძლების დაგვარად დახმარება გაუწიოს; მხოლოდ უხერხულად სცნობს იმ გარემოებას, რომ დროზედ ამის შესახებ სამინისტრო ცნობებს ვერ ღებულობს და ავალებს სამეურნეო საზოგადოებას, რომ ასეთ შემთხვევაში არა უგვიანეს წლის 1 იანვრისა შემდეგი ცნობები მიაწოდონ ხოლმე სამინისტროს: 1) სადაა განზრახული გამოფენის გამართვა, 2) რომელი მხრისათვის, 3) რა დროს, 4) განზრახულია თუ არა გამოფენაზე შინათ მრეწველობის განყოფილებაც გაიმართოს, 5) რამდენი გადასდო თვით გამოფენის გამმართველმა მეთაურმა საზოგადოებამ, ან სხვა-და-სხვა დაწესებულებებმა თუ პირებმა, რა მატერიალური შემწეობა აღმოუჩინეს გამოფენის გამმართველთ, 6) გამოფენის გამმართველ კომიტეტს განზრახვა აქვს თუ არა აღძრას შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროში პრემიების დანიშვნის შესახებ და აგრეთვე სხვა სამეურნეო სამრეწველო, საეკონომიო დაწესებულებებში და სხვ. და 7) რომელ საგნებში, ან რა დროს იქნება გამოფენაზე საჯარო ლექციები, რჩევანი და აგრეთვე როდის მოხდება გამოსაფენ საქმეთა ექსპერტიზა.

✦ ქალაქის მეX-ე ნაწილის ბოქაულმა გაგზავნა თავისი თანაშემწე ამატუნი განჯაში ამას წინად გავაზოვის მაღაზიაში მომხდარ **ქურდობის** გამო. აღმოჩნდა, რომ მეტი წილი მოპარულ საქონლისა უყიდნია განჯელ ვაჭარს მეხდის, რომელსაც ნაყიდი საქონელი განჯაში გაუგზავნია. ამატუნიმ დააპატიმრა მეხდი და ჩამოართვა მთელი საქონელი.

✦ 10 ივლისს, ტფ. მესამე სავაჟო გიმნაზიის **მოწაფენი** რამდენისამე მასწავლებლით გაემგზავრენ წმ. ანტონის მონასტერში, მონასტრისა და მისი მიდამოების დასათვალიერებლად.

✦ ტფილისის **სარკინისგზო სასწავლებელში** წელს მისაღები ეგზამენები იქმნება 27, 28 და 31 აგვისტოს; თავისუფალი ვაკანსიები მხოლოდ პირველსა, მე-5-სა და მე-6 კლასებშია.

✦ თანახმად საგუბერნიო ადმინისტრაციის წინადადებისა, **ტფილისის პოლიცმეისტერმა** დაავალა ბოქაულებს, საბჭოსა და ქალაქის ექიმებს დაათვალიერონ ტფილისის სახლები, დუქან-მაღაზიები და ქარხნები და მოსთხოვონ მეპატრონეთ სანიტარულ მდგომარეობაში იქონიონ ყველაფერი. კავკასიის საექიმო სამმართველომაც დაავალა საქალაქო ექიმებს სასტიკი სანიტარული ზედამხედველობა იქონიონ ქალაქზე.

✦ ეხლა ხან **მოკლული ყაჩაღი ჩოლახბალი** სიღნაღის მაზრის სოფ. ლომბალოს მცხოვრები თათარი ყოფილა. იგი 35 წლისაა და წინეთ ცნობილი იყო, როგორც საქონლის ქურდი. შემდეგ შეუერთდა ყაჩაღთა ბრბოს, რომელსაც მან მალე მეთაურობა დაუწყო. ყოველთვის, როცა კი პოლიციასთან შეტაკება მოუვიდოდა, იგი ყოველთვის მოშორდებოდა ბრბოს, რადგან ასე უფრო ადვილი იყო თავის შველა. უკანასკნელადაც ეგრე უქნია, მაგრამ მოუსწრეს ჩათახის ქარხანასთან და მოჰკლეს. ბრბო კი ვიღაც ჰამიდის მეთაურობით სადღაც მიიმალა.

✦ დასრულდა პირველ-დაწყებითი მუშაობა **სურპ-კარაპეტის აღმართისა და ხეობის** დაგეგმა-მოწყობისა. ეხლა ქალაქს შეძლება აქვს დაამთავროს ამ ადგილის მოწყობა-მოწესრიგების საქმე.

✦ ტფ. პოლიციას შიდა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების საპოლიციო დაწესებულებათაგან ბოლოს დროს ბევრ გაფრთხილება მოსდის იმის შესახებ, რომ ეხლა ბევრი **ჯიბგირ-ქურდი** გამოემგზავრა ტფილისისაკენაო, ალბათ, გამოფენაზე ჰსურთ გააჩაღონ თავისი საქმეო. ტფ. პოლიციამ ერთი ამ უცნაურ „გასტროლიორთაგანი“ კიდეც იპოვა, პასპორტი ჩამოართვა და მეორეს დღეს პოლიციაში დაიბარა, მაგრამ ჯიბგირმა თავს უშველა ტფილისიდან.

✦ სადგ. ალბულახიდან გვატყობინებენ, რომ გუშინ, 11 ივლისს, სადგურზე საქონლის მატარებლის (№ 187) ლოკომოტივი და 8 ვაგონ-ცისტერნა **ლიანდაგს გადასცდნენ**. ერთი ვაგონი დაიმსხვრა, დანარჩენი გაფუჭდა; გზა შეიკრა და მხოლოდ დღეს იქნება სრულიად გახსნილი.

✦ **ალაფჩის ქუჩის** (ავლაბარზე) სახლის პატრონნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას, ჩვენის ხარჯით მოაწყოს კანალიზაცია ამ ქუჩაზეო.

✦ მოგვივიდა მე VI-ე და მე-VII-ე წიგნები ჟურნალის „მოგზაური“-სა შემდეგის შინაარსისა:

1) სურათი ყოვლად-სამღვდელო ლეონიდისა; 2) პატარა კახი (მეფე ირაკლი II-ის ახალგაზდობა); 3) ისტორიული დამაკვირდები,—ბ. ე—სა; 4) სოფელი ნინო-წმინდა და მისი ნაშთი, სურათით; 5) ვარძიის მონასტერი მესხეთში, სურათით; 6) ბუმბერაზნი ჩვენის მთებისა, სურ.,—თ. ფალავანდიშვილისა; 7) ამირანი, ლეგენდა,—მ. გობეჩიასი; 8) ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა,—ინგილო ჯანაშვილისა; 9) გურია,—გ. გვარამაძისა; 10) ბორჩ. მაზ. და მასში მცხოვრები ქართველები,—ბ.; 11) წმ. მოღვაწე ნინო,—ვინმე მესხისა; 12) დავით აღმაშენებელი,—დასურიძისა; 13) რუსუდანი, ისტორ. დრამა ხუთ მოქმედებად; 14) იანიხარი, ისტორიული დრამა, მესამე მოქმედება,—დ. ნახუცრიშვილისა; 15) ანტონი I, კათალიკოსი,—თ. ჟორდანიასი, რუსულიდან თარგმანი კ. ანთაძისა; 16) ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოღვაწეობის მოკლე განხილვა,—თ—ტ—ელისა; 17) კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი გვარის ისტორია,—ზ. ჭ.—სა; 18) ლეგენდა მეფე ირაკლიზე,—ვარდენ ყიფიანისა; 19) ორი ლექსი მეფე ირაკლიზე,—ბ. ახოსპირელისა და დ. მაისურაძისა; 20) სულების მოხსენება სვანეთში,—დ. ანტონიძისა; 21) აღდგომა სოფელში,—აფრ. მერკვილაძისა; 22) ხალხური იგავ-არაკები და ლექსები; 23) ბიბლიოგრაფია; 24) ისტორია სომხეთისა, სენმარტენის, ფრანგულიდან თარგ., მ. ჩოგოვაძისა.

✦ ვიღაც ტერ-მოსესოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ მას „სევერნი ნომრებში“ მოჰპარეს ქისა, რომელშიაც 150 მ. იყო.

✦ ღრმა ღელეში უპოვნიათ ვიღაც მოკლულის გვამი. ვინაობა მისი აქამდე ვერ გაუგიათ.

✦ ტფ. გუბერნატორი დაეკითხა საინჟენერო მმართველობას,—აქვს თუ არა მას რამე წინააღმდეგი, რომ ტფ. მოქალაქის ქალმა, მატილდა ფრანცმა, ყავახანა გახსნას ალექსანდროვის ბაღის შუა ნაწილში?

✦ ამ დღეებში, ვერაზე, ღამით, სახლისკენ მიდიოდა მცირე მოხელე კ.; მის წინ მიდიოდა ორი უცნობი კაცი, რომელთაგან ერთი დაეკითხა მეორეს, სად არის დედაშენიო; კ.—მ დაასწრო და უპასუხა: კარგა ხანია მოკვდაო. ამ სიტყვამ გააცეცხლა მეორე უცნობი კაცი. მან იძრო ხანჯალი და ხელში ჭრილობა მისცა კ.-ს. ამ დროს შეგროვდა ხალხი და მოჩხუბარნი გააშველეს. პოლიციამ ველარ მოუსწრო და ვერ დაატუსაღა უცნობი.

პრესსა

ამას წინად ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა ცვლილებათა შეტანა განუზრახავთ ქართლ-კახეთის საეპარქიოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში. ახალის პროექტით არსდება ორი ტიპი სამრევლო სკოლისა: ქალაქებისა და იმ სოფლების სკოლებში, რომლებშიაც არა ქართველიც ურევია, სწავლება რუსულს ენაზე უნდა სწარმოებდეს; ხოლო ქართულ ენას ასწავლიან, როგორც საგანს, იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელმა იცის ეს ენა; იმ სოფლის სკოლებში კი, რომელშიაც მარტო ქართველები სწავლობენ, სწავლა წინანდებურად ქართულ ენაზე იქნება. აღვნიშნეთ უკვე, რამდენად ანტიპედაგოგიურია ეს ახალი გეგმა და ის გარემოებაც, რომ ჩვენში ძნელად მოიძებნება სკოლა, სადაც ერთი ან ორი უცხოტომის ბავშვი არ იყოს; ამრიგად ქართულ სამრევლო-საეკლესიო სკოლებს სრულიად დაეკარგებათ წინანდელი ელფერი და მნიშვნელობა. ეხება რა ამ საგანს გაზ. „ივერია“, საჭიროდ რაცხს ურჩიოს სამღვდელოებას მთავრობას წარუდგინოს თავისი აზრი განზრახული რეორგანიზაციის გამო.

„სამღვდელოებას, ამბობს გაზეთი, როგორც დამცველს თვისის სამწყოს ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ინტერესებისას, რამდენადაც ვიცით, უფლება აქვს საჭიროების დროს საბლაღოჩინოების კრებები მოახდინოს და ესა თუ ის საგანი განიხილოს და თავისი აზრი და დადგენილება ადგილობრივ სასულიერო მთავრობას წარუდგინოს. იმედია, ამისათვის ჩვენი სამღვდელოება ახლაც ასრე

მოიქცევა და თუ ჰნახავს, რომ ეს ახალი პროექტი შეუფერებელია, თავისს აზრს დაწვრილებითის დასაბუთებით ეპარქიის უმაღლესს მთავრობას წარმოუდგეს ჯეროვანის კანონიერის მსვლელობისათვის; მეორეც, ითხოვენ მთავრობის წინაშე, რომ, რაც შეიძლება მალე აღნიშნულის საგნის განსახილველად სრულიად საეპარქიო კრება იქმნეს მოწვეული და ამ კრებამ განიხილოს ახალი გეგმის პროექტი, შესაწყნარებელია იგი თუ არა, და, თუ საჭიროდ სცნობენ, სთხოვენ საქართველოს ეგზარხოსს ყოვლადსამღვდელოს უწმინდესის სინოდის წინაშე ამის შესახებ შუამდგომლობა იქმნეს აღძრული".

* * *

თავის დროზე ტელეგრაფმა გვაუწყა, რომ ბეჭდვითი საქმის უმთავრესს მმართველობის უფროსი ნ. ვ. შახავსკოი პროვინციაში გაემგზავრა საცენზურო დაწესებულებათა დასათვალიერებლად და პროვინციის პრესსის მდგომარეობის ადგილობრივ გასაცნობად. ამ ჟამად სატახტო ქალაქების გაზეთებში ვპოულობთ ამ მოგზაურობის ამბებს. თავ. შახავსკოი უკვე ყოფილა იაროსლავში, კოსტრომაში, ნიჟნი-ნოვგოროდში და ყაზანში; ეხლა იმყოფება სამარაში და იქიდან პირველად წავა სარატოვსა და ასტრახანში, შემდეგ შებრუნდება შიდა რუსეთის ქალაქებში. გაზეთების სიტყვით,

«ზოგიერთ ქალაქებში გაზეთების რედაქტორთა და გამომცემელთ მიურთმევიათ თავ. შახავსკოისათვის მოხსენებანი, რომლებშიაც აღუნიშნავთ პროვინციალურ პრესსის საჭიროებანი, აწ არსებულის საცენზურო დებულების ნაკლულევანებანი და სასურველი ცვლილებანი. თითქმის ყველა მოხსენება უჩვენებს შემდეგ საჭიროებათ: ადმინისტრატიულ წესით დასჯის მოსპობა და, სამაგიეროდ, სასამართლოში მიცემა დამნაშავე გაზეთისა; მოსპობა წინა ცენზურისა იმავე წესით, როგორც არსებობს სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის; გადასინჯვა იმ აუარებელ ცირკულიარებისა, რომელიც გამოცემულია ამ 30—35 წლის განმავლობაში და რომელთაც ძალა აქვთ დღესაც და რომელნიც მეტად ავიწროებენ პროვინციალურ პრესსის მოღვაწეობას; უცენზუროდ გადაბეჭდვა იმ წერილებისა და შენიშვნებისა, რომელნიც იბეჭდებიან „პროვიტ. ვესტნიკ"-ში და სხვა ოფიციალურ გამოცემებში. გარდა ამისა, ზოგიერთ რედაქტორებს უთხოვნიათ, რომ აუცილებლად საჭიროა,—სანამ გაზეთს რაიმე სასჯელს გადაუწყვეტენ, რედაქციას მოეთხოვოს გასამართლებელი და ასახსნელი ფაქტები და საბუთებიო".

პროვინცია

საჩხერე. დიდი ხანია არა ისმის გაზეთებში საჩხერის შესახებ; მკითხველებს, მგონი, დავავიწყდით კიდეც. ან კი, ღვთის წინაშე, რა მოსაგონი ვართ, როცა არავითარს საზოგადო კეთილ საქმეებში მონაწილეობას არ ვიღებთ.

«რის კეთილი საქმე; ხომ არ მოგიცლიათ, ამბობს აქაური,—ჩემი კეთილი საქმეა: ფულის მოგება, მერე წაგება «კარტ-ბილიარდში», სადილ-ვახშმების მართვა, ქეიფი, დღის ღამედ გადაქცევა, ღამის დღედ, ჭორიკანობა, შარიანობა და სხვათ». მართლაც, მკითხველი ვერ წარმოიდგენს საქართველოში ისეთს დაბას და თუ გინდ გურია-ქვემო იმერეთის სოფელს, სადაც ისეთი გონებრივი სიღატაკე სუფევდეს, როგორიც საჩხერეშია. გონებრივ სიღატაკეს აქ ხელს უწყობს 1) ჯერ კიდევ ბატონ-ყმობა, ის ბატონ-ყმობა, რომელიც 1864 წ. მოისპო საქართველოში ყველგან და აქ კი სულს უხუთავს გლეხობას. სხვისი ბრძანებათ ნების აღმასრულებელმა კაცმა თავის გონება-ქონების გაუმჯობესობაზე როგორ იფიქროს, ან როდის, როცა წელებზე ფეხს იდგამს, თავის ოფლით სხვას ამდიდრებს და თვითონ ხელცარიელი რჩება. 2) უგზოობა და კარ-ჩაკეტილი ცხოვრება. საჩხერე-შორაპნის რკინის გზის გაყვანის შემდეგ კი მოსალოდნელია სხვა-და-სხვა მადნით, მაგ. შავი-ქვისა, ქვა-ნახშირის და ნავთის, წარმოება დაიწყოს ჭალის მთებში და ამან კარ-ჩაკეტილ ცხოვრებიდან გამოიყვანოს მცხოვრებნი. მანამდე კი რაც გვქონდა, იმასაც ვკარგავთ: 1884 წლიდან აქ არსებობდა საავადმყოფო, რომელიც დიდ შემწეობას აძლევდა ხალხს. წელს, საუბედუროდ, საავადმყოფოსთვის აქაურებს შენობის დაქირავება მოსთხოვა სამოქალაქო მმართველობამ, ამათ კი უარი უთხრეს. მმართველობას ახლა გადაუწყვეტია და მთავარ-მართებელსაც დაუმტკიცებია, რომ საავადმყოფო გადატანილ იქმნას ს. ხარაგაულში (ბელაგორი), სადაც საზოგადოებას დიდი შემწეობა აღუთქვამს ქსენონისათვის. ახლა კი იკადრეს აქაურებმა თხოვნის მირთმევა სამოქალაქო მმართველობისათვის, რომ საავადმყოფო ისევ საჩხერეში დარჩეს და შენობას ულევად წლიურად ვიქირავებთო, მაგრამ საქმე რადგან გადაწყვეტილი იყო, უარი უთქვამს. თუმცა ეს ორი წლიწადი ნამეტანი უწესოება სუფევდა საავადმყოფოში (ავადმყოფებს ექიმი არ ღებულობდა 11—12 საათამდი, ხშირად ავადმყოფების მიდება მინდობილი ჰქონდა ფერშლებს და ექიმი სოფლებში იყო; წამლებს საავადმყოფოს აფთიაქიდან ცოტას აძლევდნენ და უფულოთვის რეცეპტებით კერძო აფთიაქში ისტუმრებდნენ და სოფლებში წასვლის დროს ფეხის ფასს უზომოს ახდევინებდნენ), მაგრამ ყველა ამის მოსპობა შეიძლებოდა და უექიმოდ არ დარჩებოდნენ მკვიდრნი. ამის შემდეგ ვის უნდა მიმართონ ავადმყოფებმა? —ისევ უნდა ჩაუვარდნენ ხელში სოფლის მკვლელებს ექიმ-მკითხავებს.

აქაური სამკითხველო ხომ სულსა დაფავს. გარდა ორიოდე თ. წერეთლების და მოხელეებისა, არავინ ეკარება მას სიახლოვეს, თორემ შემწეობას ვინ აღმოუჩენს. სამაგიეროდ ძლიერ ბევრია სამიკიტნოები, სადაც აქაური უსაქმურები ბევრს ოინბაზობას ჩადიან: დათვრებიან, დაერევიან ერთმანერთს ხმალ-ხანჯლებით, მერე მედუქნეს მიუბრუნდებიან, ფულის მიცემის მაგივრად, ერთს ძაღლზე მიბეგვენ, დუქანსაც დაუღეწენ და არხეინათ გაუდგებიან გზას; ბევრი, რასაკვირველია, ვირის აბანოშიც ამოჭყოფს თავს, მაგრამ შემდეგ კიდევ უარესს ჩადის.

საჩხერეში უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა ებრაელები და სომხებია, უმცირესი—ქართველობა ვაჭრობა ებრაელ-სომხების ხელშია უმეტესად. ყველა ბაზარში ცხოვრობს, გარდა თ. წერეთლებისა; შენობების ქვედა სართულში დუქნებია გამართული, ზედა სართულში—მცხოვრებნი არიან. ბაზრის ქუჩა ძლიერ ვიწრო, გრძელი და ოღრო-ჩოღროა. წვიმების დროს მასზე დიდი ტალახი და წყალი დგება და ერთს ალაგას კი დიდი ტბაც. სომხებს აქვთ ჩინებული ეკლესია, ებრაელებს სამლოცველო-თორა, მხოლოდ ქართველობა მოკლებულია ტაძარს. თუმცა ადგილობრივ მღვდელს ხუთი კარის ეკლესია აბარია, მაგრამ სამრევლო ეკლესიად არც ერთი არ ითვლება და თანაც ნახევარჯერ არც ამ ეკლესიაშია წირვა-ლოცვა.

აქეთკენ გაზაფხული წვიმიანი იყო და ზაფხულიც ჯერ ჯერობით ნოტიოა; 25 ივნისიდან—8 ივლისამდე აგერ სულ წვიმებია. ნოტიო გაზაფხულმა ძლიერ ავნო ჭურის ყანებს და მოსავალიც ნაკლებია. სიმინდის ყანებს კი ჯერ არა უშავს რა. ვენახები, შედარებით შარშანდელ წელთან, გვარიანია. მოარული ავადმყოფობა შარშანდელივით არაა გავრცელებული სოფლებში, მხოლოდ აქა იქაა მეტივანა ხველა და წითელა. ჭირების მკა გათავდა, მხოლოდ უამინდობისა გამო ლეწვა არ დაწყებულა.

ს. საყუღიელი

საღამოს დეპეშები

11 ივლისა.

ხერსონი. მოსავალი საზოგადოთ გუბერნიაში საშუალოზე მეტია, ზოგან კარგიც; ნაკლები მოსავალი იყო სამხრეთ ნაწილის ზოგიერთ სოფლებში. მკის დროს მუშები საკმარისი იყო.

ტამბოვი. ამინდი ხმელი და ცხელია; პურის მკა თავდება; ზოგიერთ ადგილას ზეთოვან მცენარეებს ჭია გაუჩნდა. შაცკის მაზრაში საშინელი სეტყვა იყო; სეტყვამ მოსპო ყველაფერი 20 ვერსტის მანძილზე; თითო სეტყვა 3 გირვანქამდე იწონიდა. საქონელი, განსაკუთრებით წვრილი ბევრი დაიღუპა; მოკლულია 3 კაცი; ს. კაზაჩი დიუკის ახლო ნიაღვარმა მდინარისაკენ გააქანა და დაღუპა ცხვრის ფარა და ორი პატარა მწყემსი.

კონსტანტინეპოლი. «როსტისლავი» დილის მთავრის ალექსანდრე მიხეილისძით საღამოს გავიდა აქედგან; სიმაგრეებმა სალამი მისცეს ზარბაზნის სროლით.

ბრიუსელი. ტრანსვაალის ელჩი ლეიდსი და საელჩოს მდივანი ბარონი ვან-დერგევენი წავიდნენ კრიუგერთან გილფერსუმში.

სტოკჰოლმი. გემ «ლუიზა ადელაიდას» აფეთქების დროს დაიღუპა 13 კაცი, მათ შორის კაპიტანიც.

ლონდონი. დეპუტატების პალატა. შეკითხვაზე კრან-ბორნი აცხადებს, რომ უცხო ჯარების დროებითი დატოვება შანხაიში არაფერს შემთხვევაში არ ნიშნავს ჩინეთის ტერიტორიის ხელ-შეუხებლობის დარღვევას და არც იმ შეპირებათა უკანვე წაღებას, რომელნიც ჩინეთმა წინეთ მისცა ინგლისს იანცძეს ჰალის შესახებ.

კოპენჰაგენი. მეფემ ნაშუადღევს მიიღო პროფესორი დუნტცერი, რომელმაც წარმოადგინა შემდეგი სია ახალ მინისტრებისა. პირველი მინისტრი და გარეშე საქმეთა მინისტრი —დუნტცერი, იუსტიციის მინისტრი—უმაღლეს სასამართლოს ბრალმდებელი ალბერტი, სარწმუნოებათა მინისტრი —სახელმწიფო რევიზორი კრისტენსი, ფინანსებისა—ვაჭარი — გაგე, მიწად-მოქმედებისა—სამეურნეო კომისარი ოლეგანსენი, სახელმწიფო სამუშათა—რედაქტორი გერუნი, ზღვათა—კონტრადმირალი იენკე, სამხედრო—პოლკოვნიკი მადსენი, შინაგან საქმეთა—რედაქტორი ენევოლდ ზერენსეიი; მეფემ მიიღო სია; სამინისტრო ყველა წევრები მემარცხენეთა დასს ეკუთვნიან.

პეტერბურგის ბირჟა 11 ივლისს.

გაქსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხა 1893 წ.	100 მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ.-აზნ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	430 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	340½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	234 „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87½ „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	— „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ	92⅞ (?) „
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რედაქტორი **ალ. ჭყონია.** გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა ვორონცოვის ქუჩა, სახლის ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბაჩიაშვილისა, ავადმყოფე უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუკით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

თხზულება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Іюля 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.